პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 210 (3187)

27 ოქტომბერი, 1966 წ. ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

ბურთელ ვაჟთა ნაკრები ესტუმრა. საბჭოთა გუნდმა უკვე ორი მატჩი გამართა: პირველ შეხვედრაში ანგარიშით 99:75 გაიმარჯვა მეხიკოს გუნდთან, ხოლო მეორეში — ქვეყნის ჩრდილოეთის შტატების ნაკრებთან — 108:70.

◆ სან-პაულუ, 26 ოქტომბერი. მსაჯმა კარგა ხანს ვერ [illegible] ზილიური საფეხბურთო კლუბების — სახელგანთქმული „სანტოსისა" და აუტსაიდერის „ხოროესტეს" თამაშის დაწყების ნიშანი. აბა რა იქნებოდა: ამ მატჩის თარიღი ხომ პელეს დაბადების დღეს დაემთხვა! და აი, ათასობით გულშემატკივარი ცოცხალ კედლად აღიმართა გასახდელიდან მინდვრისკენ და მსაჯებსა და კლუბის ხელმძღვანელებს ძალიან დიდი ჯაფა დაადგათ, რათა პელე ამ ზღვა ხალხში გაეტარებინათ... სათამაშოდ. „ფეხბურთის მეფემ", რომელსაც 26 წელი შეუსრულდა, გულშემატკივართა ყურადღებას „ხოროესტეს" კარში გატანილი 2 გოლით უპასუხა. გაიმარჯვა „სანტოსმა" — 4:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი საათი...

◆ მეხიკო, 26 ოქტომბერი. „სპორტის II საერთაშორისო კვირეულის" მონაწილეთა შემდეგ 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ასპარეზს სსრ კავშირის კალათ-



მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, ლენინგრადელი სტუდენტი ნატალია კუჩინსკაია.

ფოტო ბ. ქვათაძისა.

ფოტო თვალით



საცხენოსნო სპორტის კლასიკურ სახეობებში ამას წინათ გუდაუთში გამართული რესპუბლიკური პირადგუნდური ჩემპიონატის ერთ-ერთი გამარჯვებული დ. ხოფერია (გულრიფში) „გახსნის პრიზზე" დაბრკოლების გადალახვისას.

ფოტო ვ. სიმონოვისა.

ფეხბურთი

„ა" კლასი I ჯგუფი

ოთხი მატჩი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა" კლასის I ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები. აი, შედეგებიც: „არარატი" (ერევანი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 1:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:0, ასკ (როსტოვი) — ცსკა 2:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 1:0.

1 ნოემბერს, „სან-სიროზე"

1 ნოემბერს მილანის „სან-სიროს" სტადიონზე, როგორც ცნობილია, ერთმანეთს შეხვდებიან იტალიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები. აი, როგორი შემადგენლობით გაემგზავრება მილანში 29 ოქტომბერს ჩვენი გუნდი: მეკარეები — იაშინი და პშენიჩნიკოვი; მცველები — ანდრეიუკი, შესტერნიოვი, აფონინი, ხურცილავა, სოსნიხინი, დანილოვი; ნახევარმცველები — საბო, ლენევი, მედვიდი; თავდამსხმელები — ჩისლენკო, მალოფეევი, ბანიშევსკი, ბიშევეცი, სტრელცოვი, მატვეევი.

ეს მატჩი იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მეოთხე შეხვედრაა. ორჯერ — 1963 და 1966 წლებში — გამარჯვება საბჭოთა ფეხბურთელების მხარეზე იყო, ხოლო ერთხელ — 1963 წლის 10 ნოემბერს რომში — მათი ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა.

მოკავშირე რესპუბლიკების ფინალური ტურნირი

„ბ" კლასი

ორი ლიდერი

გუშინ ტყიბულში გაიმართა მოკავშირე რესპუბლიკების „ბ" კლასის ფეხბურთელთა ფინალური ტურნირის II ტური.

„ფოლადი" (სუმგაითი) — „ლერნაგორცი" (კაფანი) 2:0 (1:0).

თამაში მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით, თუმცა, უფრო მეტად აქტიურობდნენ სუმგაითელები და წარმატებას მათვე მიაღწიეს: მე-10 წუთზე უყურადღებოდ დარჩენილმა პოლოსიანმა ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. შესვენების შემდეგ 6 წუთიც არ იყო გასული, რომ იმავე პოლოსოვმა მეორედ შეარხია მეტოქის კარის ბადე.

„მეშახტე" (ტყიბული) — „ნემანი" (გროდნო) 1:0 (1:0).

ტყიბულელებს ამ შეხვედრაში ბევრჯერ ჰქონდათ მეტოქის კარის აღების შესაძლებლობა, მაგრამ რეალობად იგი მხოლოდ ერთხელ იქცა: 42-ე წუთზე მელიქიძემ კარგად მიიღო ბურთი, გვერდი აუარა მოწინააღმდეგე მცველებს, სწრაფად გადააწოდა თანაგუნდელ დუნდუას და ამ უკანასკნელმა ბურთი შეუჩერებლად გაგზავნა კარში — 1:0.

შემდგომში სტუმრებმა, მართალია, თამაში გამოაცოცხლეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს. ტყიბულელთა მცველებისა და მეკარე ძიძიგურის საუცხოო თამაშმა გააქარწყლა გროდნოელთა ყველა ცდა — გაექვითათ გოლი.

II ტურის შემდეგ გათამაშებას 3-3 ქულით ლიდერობენ სუმგაითელები და ტყიბულელები. 30 ოქტომბერს, ბოლო ტურში „ფოლადი" ხვდება „ნემანს", ხოლო „მეშახტე" — „ლერნაგორცს". თუ „ფოლადი" და „მეშახტე" ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებენ, მაშინ მათში გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნება დამატებითი მატჩი.

• • •

ტურნირი ორგანიზებულად ტარდება, — ამას კმაყოფილებით აღნიშნავენ ტყიბულის სტუმარი ფეხბურთელები. მართლაც, ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საამისოდ ძალ-ღონე არ დაიშურეს. აღსანიშნავია ტყიბულის „განთიადის" საბჭოს თავმჯდომარის ა. ობოლაძის გულისხმიერი და საქმიანი დამოკიდებულება ტურნირისადმი.

ზ. ჯორჯაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

თბილისი მასპინძლობს სამბისტებს

თბილისელ გულშემატკივრებს სამბისტთა შეჯიბრებებით ვერ გააკვირვებ: საქართველოს დედაქალაქში არაერთი და ორი საკავშირო მასშტაბის ტურნირი გამართულა. ასეთი შეჯიბრება ოქტომბრის დამლევსაც მოეწყობა, მაგრამ თავის წინამორბედთაგან მაინც განსხვავებული იქნება.

საქმე ისაა, რომ თბილისის სპორტის სასახლეში სსრ კავშირის პირად პირველობას (იწყება 29 ოქტომბერს) 8 წონითი კატეგორიის სამბისტები გაითამაშებენ. ოქროს მედლისთვის ყოველ წონაში 12 ათლეტი იბრძოლებს.

— ფინალისტთა დიდი რაოდენობა უდაოდ გაამწვავებს ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლას, — განუცხადა „ლელოს" კორესპონდენტს ტურნირის მთავარმა მსაჯმა ვ. ანდრეევმა.

საქართველოს სამბისტები სსრ კავშირში უძლიერესნი არიან, ამიტომ ბუნებრივია, რომ ფინალურ ტურნირში ისინი უხვად არიან წარმოდგენილი. მაგალითად, უმჩატეს წონაში მარშანდელ ჩემპიონს — ორჯონიკიძელ ა. მწარიაშვილს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ გორელი ბეინაშვილი, თბილისელები ჩ. ქუცნიაშვილი, ქიქიაშვილი და სამბოს ვეტერანი, კასპელი კაციაშვილი, რომელმაც პირველი „ოქრო" 1955 წელს მოიპოვა.

მჩატე წონაში საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის, ლენინგრადელი კეროლის მთავარი მეტოქეებია თბილისელი მარტყოფლიშვილი და კიეველი ჯანგობეგოვი.

ქვემსუბუქ წონაში, ალბათ, ბადალი არ ეყოლება მოსკოველ სტეპანოვს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მსუბუქ წონაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონზე, კუიბიშეველ რუდმანზე. მას მოუხდება ლენინგრადელი ბოგოლიუბოვისა და გორელი მალალთაძის მძაფრი შეტევების მოგერიება.

ქვესაშუალო წონაში საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი აქვს თბილისელ მარგველანს, ხოლო საშუალოში — მის თანამემამულეებს ბალაკაშვილს, ნონიკაშვილსა და 18 წლის მზარდ ათლეტს ლ. თედიაშვილს (ეს უკანასკნელი, ალბათ, ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იქნება).

ქვემძიმე წონაში თბილისელთა ტრიო (ზურაბაული, კახაბრიშვილი, ბულიაშვილი) იბატონებს, მძიმე წონაში კი — ევროპის ჩემპიონები — კაკნაძე და ქიბროწაშვილი, აგრეთვე, გორელი მალაციძე.

თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ წლეულს, ივნისში, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ სამბო საერთაშორისო სახეობად აღიარა. სსრ კავშირის სპორტულმა ორგანიზაციებმა სტუმრად მოიწვიეს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი რ. კულონი, რომელიც თბილისს ეწვევა.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ იაპონელი სამბისტები. პირველ მატჩს ისინი 2 ნოემბერს თბილისში გამართავენ საქართველოს ნაკრებთან, შემდეგ კი გამოვლენ კიევში, კიშინიოვსა და მოსკოვში.

ჰ. ხაჩიძე.
(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

სჯუმრებთან ბრძოლაში





საქართველოს და უზბეკეთის მძლეოსანთა მატჩი



საქართველოსა და უზბეკეთის მძლეოსანთა მატჩი, რომელიც თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა, სსრკავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის ამ გუნდების სამშაბათისის მორიგი შემოწმება იყო. მასპინძლებისათვის ეს შეხვედრა წარმოადგენდა რესპუბლიკური ჩემპიონატის პროლოგსაც. სწორედ ამიტომ, ჩვენი ათლეტები მონდომებით იბრძოდნენ და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც აჩვენეს. საქართველოს მძლეოსნები აშკარად ჯობდნენ შეტოქეთ. ეს უპირატესობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ვაჟთა ასპარეზობაში —15:4. სამაგიეროდ, უზბეკეთის ქალთა კოლექტივი შედარებით ძლიერი იყო. მართალია, შესვედრა ფრედ (5:5) დამთავრდა, მაგრამ სტუმრებმა 60 ქულა მოაგროვეს, მასპინძლებმა კი—54 (I ადგილი გუნდს აძლევდა 5 ქულას, II — 3-ს, III — 2-ს, IV — 1-ს).

სტუმრებიდან გამოირჩეოდა ო. ლევანენკო, რომელიც 165 სმ სიმაღლეზე გადახტა და პირველობაც მოიგო. საერთაშორისო სპორტის ოსტატმა გ. სკალოზუბოვამ შუბი 50,34 მეტრზე ტყორცნა, ხოლო ე. ანდრისის ურო 65,61 მეტრზე დაეცა... მაგრამ უზბეკეთის ათლეტებმა თავიანთი რესპუბლიკის ვერც ერთი რეკორდი ვერ გააუმჯობესეს, მაშინ, როცა მასპინძლებმა საქართველოს 3 ახალი რეკორდი დაამყარეს.

განსაკუთრებით ქების ღირსია სპორტის ოსტატი ტარიელ ბახტაძე. მატჩის პირველ დღეს მან 400 მეტრი 47,7 წამში გაირბინა და 0,1 წამით გააუმჯობესა თავისივე რესპუბლიკური რეკორდი. მაგრამ მაყურებლები იმის მოწმენიც შეიქნენ, რომ ახალი რეკორდი სრულიადაც არ არის სპორტსმენის შესაძლებლობათა ზღვარი (ტარიელმა ტემპს უკლო, როცა ფინიშამდე 60 მეტრი დარჩა: იგი დარწმუნდა, რომ მეტოქენი საგრძნობლად ჩამორჩნენ). შემდეგ ბახტაძემ თანაგუნდელებთან— ი. კოზელსკისთან, ა. ანდრეევსა და ზ. სარქისიანთან ერთად 3.14,2 აჩვენა ესტაფეტაში 4×400 მეტრზე, რაც 1 წამით ჯობს ძველ რეკორდს.

ბახტაძეს არც ა. კორნეიჩუკი ჩამორჩა. მიუხედავად იმისა, რომ 1.500 მეტრზე რბენაში საქართველოს ახალი რეკორდის (1:50,2) დამყარებისათვის საკმაო ენერგია დახარჯა, ასპარეზობის მეორე დღეს მან 5.000 მეტრზე ირბინა და აქაც პირველი იყო. რესპუბლიკურ რეკორდს ქალთა კვარტეტმაც (ლ. იევლევა, თ. როყმანოვა, გ. კოსონენკო, ვ. ქუთათელაძე) შეუტია, მაგრამ ესტაფეტაში 4×100 მეტრზე ჩვენმა სპორტსმენებმა მხოლოდ გაიმეორეს ძველი შედეგი—48,2.

თუ შუბის მტყორცნელ ქალთა შორის უპირატესობა სტუმრებს ხვდათ წილად, მასპინძლებმა ვაჟთა შეჯიბრებაში აიღეს რევანში: ლ. არაშიძემ 70,40 მეტრზე ტყორცნა შუბი და პირადი რეკორდი დაამყარა, ხოლო მისი თანაგუნდელი მ. გრიგა II ადგილზე გავიდა—68,18.

სპორტის ოსტატმა ლ. იევლევამ (საქართველო) ყველას აჯობა 80 მეტრზე თარჯრბენში (11,3) და სიგრძეზე ხტომაში (567 სმ).

საინტერესო გამოდგა სპრინტერ ქალთა დუელი. ვ. ქუთათელაძემ 100 მეტრი 12,3 წამში გაირბინა და 0,1 წამით მოუგო სტუმარს—ა. იუსუფოვას.

სამაგიეროდ, უზბეკეთის გუნდის წევრმა 200 მეტრზე რბენისას აიღო რევანში (25,3), მაგრამ ესტაფეტაში, ბოლო ეტაპზე, ისევ დამარცხდა.

საკმაოდ დაძაბული იყო შეჯიბრება ჭოკით ხტომაში. სამმა ათლეტმა—უზბეკეთის რეკორდსმენმა ი. ჩუვილინმა, მისმა თანაგუნდელმა ნ. კაპუსტინმა და თბილისელმა ლ. გუგუშაშვილმა ერთნაირი სიმაღლე (420 სმ) დაძლიეს. ცდებით უპირატესობა კაპუსტინს მიეკუთვნა.

შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ა. სტეპანოვმა ბილიკებსა და სექტორებზე სანიმუშო წესრიგის დამყარება შეძლო, რამაც ხელი შეუწყო ასპარეზობის ორგანიზებულად ჩატარებას.

სხვა სახეობებში უძლიერესნი იყვნენ: ქალები. 400 მეტრზე რბენა—ზ. მურთაზინა — 1.00,8; ბადროს ტყორცნა — ს. კარვასეიკაია (ორივენი—უზბეკეთი) — 47,38; ბირთვის კვრა — მ. თათარაშვილი (საქართველო)—13,59; ვაჟები. რბენა: 100 და 200 მ — ა. ანტონოვი — 10,8 და 22,3; 800 მ — ი. ზეინან-ოღლი — 1.53,7; თარჯრბენი: 110 მ — რ. ქვაჩაკიძე — 15,6; 200 მ — ი. კოზელსკი (ყველანი —საქართველო)—24,1; 400 მ — ვ. კოლმიკოვი (უზბეკეთი)—53,9; ესტაფეტა 4×100 მ —საქართველო—41,6; სიმაღლეზე ხტომა—თ. მდივანი (საქართველო)—209 სმ; სიგრძეზე ხტომა—ი. საველიევი (უზბეკეთი)—686 სმ; სამხტომი—ლ. დარასველიძე—15,35; ბადროს ტყორცნა—გ. გუდაშვილი—53,66; ბირთვის კვრა — მ. ოყროშიძე (ყველანი—საქართველო)—17,22.

ო. გელაშვილი.

* * *

სურათებზე: მარცხნივ, ზევიდან ქვევით — **საქართველოს რეკორდსმენი ა. კორნეიჩუკი ასპარეზობისას; ჭოკით ხტება ი. ჩუვილინი; გ. სკალოზუბოვა შუბის ტყორცნის დროს; მარჯვნივ — 100 მეტრზე რბენის ფინიშთან.**

ფოტო ავტორისა.

საქმეს აფერხებს... ფული

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარების თაობაზე, მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს სპორტულ ახალშენებლობებსა და არსებული ბაზების უკეთ გამოყენების საქმეს.

ამჯერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ სწორედ არსებული ბაზების გამოყენებაზე, ვინაიდან მათი უმრავლესობა სანახევროდაც არ არის დატვირთული. ჩვენს ახალგაზრდობას კი ადგილი არ ჰყოფნის სავარჯიშოდ. ამ მდგომარეობის გამომწვევი მიზეზები ღრმა შესწავლას მოითხოვს და ამ საქმეს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მოჰკიდონ ხელი. ჩვენ მხოლოდ სპორტნაგებობათა სამეურნეო ანგარიშის საკითხს შევეხებით.

გარკვეულ დრომდე (ვიდრე სპორტნაგებობათა ფართო ქსელი შეიქმნებოდა) სამეურნეო ანგარიშს მართლაც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. სპორტულ ბაზებზე დილიდან შუაღამემდე არ წყდებოდა ასპარეზობა თუ წვრთნა, ვინაიდან მათ მრავალი ორგანიზაცია იღებდა იჯარით. მაგრამ თუ კარგად ჩავუკვირდებით, ცხადია, რომ ამ ბოლო ხანს სამეურნეო ანგარიშმა ერთგვარად უარყოფითადაც კი იმოქმედა ბაზების დატვირთვასა და, საერთოდ, მათს საქმიანობაზე (მხედველობაში გვაქვს დამოუკიდებელ ბალანსზე მომუშავე ბაზები).

რა მიზეზით? მაგალითისათვის შეიძლება შევადაროთ სამრეწველო საწარმოსა და სპორტული ბაზის მუშაობა. საწარმოს შემოსავალი დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე, რასაც უმთავრესად, ამ საწარმოს მუშაობის რეჟიმი, მოწყობილობისა და ნაგებობების სწორი გამოყენება განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ძირითადად საწარმოს ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

სპორტული ბაზების ხელმძღვანელობა მოკლებულია ამ შესაძლებლობას, ვინაიდან სპორტნაგებობათა დატვირთვის საქმე ძირითადად მოიჯარადრეების ხელშია, ისინი კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, ხშირად თავს არიდებენ ბაზების დაქირავებას. ეს იწვევს ნაგებობათა მოცდენას და ფინანსური მდგომარეობის გაუარესებას. ყოველივე ამის გამო ხელმძღვანელობა ბაზებით უფასოდ ვერ ასარგებლებს იმ ორგანიზაციებს, რომელთაც, თავის მხრივ, მათი დაქირავებისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნიათ.

მაშ რით დაფარონ მოსახურეების ხარჯები სპორტულმა ბაზებმა, თუ მათ სამეურნეო ანგარიშიდან მოვხსნით? ეს გახლავთ ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც მოითხოვს ღრმად შესწავლას და გადაჭრას.

ჩვენი აზრით, შეიძლება პროფკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა თავიანთი შემოსავლის (პიუჯეტის) გარკვეული პროცენტი გამოყონ სპორტნაგებობებისათვის. ეს თანხა ყოველთვიურად გადაერიცხებოდა სპორტნაგებობათა მთავარ სამმართველოს, რომელიც სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების რესპუბლიკურ კავშირთან უნდა შეიქმნას (მსგავსად სპორტულ ნაკეთობათა საწარმოების მთავარი სამმართველისა, რომლის შექმნაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიჩნიეს საჭიროდ).

მთავარი სამმართველო ორგანიზაციებიდან მიღებული განაცხადების საფუძველზე უნდა ადგენდეს სპორტბაზების დატვირთვის ცხრილს.

ჩვენი მოსაზრება, რასაკვირველია, არ შეიძლება ჩითვალოს ერთადერთ სწორ გზად ბაზებას მუშაობის შემდგომი გარდაქმნისათვის. მაგრამ ერთი კი ცხადია: სამეურნეო ანგარიში აძიულებს სპორტდარბაზების მესვეურთ — დაინტერესებული იყვნენ მხოლოდ ფულადი შემოსავლით. ამასობაში კი ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სათანადო მომსახურებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

გ. გოლაშვილი,
„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურის სახლის დირექტორი.

მიეგებინეთ 50 საიუბილეო სპარტაკიადას

მზადდება ტანსაცმელი შეჯიბრებაში...

საგარეჯოში ჩატარდა საქართველოს IV სპარტაკიადის ზონალური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მოგვყავს ტურნირის პრიზიორთა სია:

გუნდური ჩათვლა

I. გარდაბანი, 2. ახმეტა, 3. დუშეთი.

პირადი ჩათვლა

უმძიმესი წონა. 1. თ. ხოსიტაშვილი (გარდაბანი), 2. ვ. ჩარეულოვი (ხაშური), 3. თ. ჩილინდრიშვილი (დუშეთი).

მძიმე. 1. ზ. სონიშვილი (დუშეთი), 2. ი. ქუცნიაშვილი (გარდაბანი), 3. ჭ. ხარაიშვილი (ლაგოდეხი).

ქვემსუბუქი. 1. გ. დიღმელაშვილი (საგარეჯო), 2. ო. ქუცნიაშვილი (გარდაბანი), 3. თ. აბულაშვილი (ახმეტა).

მსუბუქი. 1. კ. ნახუცრიშვილი (თელავი), 2. ა. შეშბერიძე (ქასპი), 3. ი. ყაჩმაზოვი (ლაგოდეხი).

ულტიმატუმი ზონა

ქვესაშუალო. 1. რ. ქაიხოსროშვილი (საგარეჯო), 2. ზ. სიდამონიძე (დუშეთი), 3. გ. ბუზალაძე (ლაგოდეხი).

საშუალო. 1. ფ. გუმაშვილი (ახმეტა), 2. ბ. ელერდაშვილი (საგარეჯო), 3. ზ. დემეტრაშვილი (ქასპი).

ქვემძიმე. 1. ზ. მანველიშვილი (ახმეტა), 2. შ. შპეტიშვილი (გარდაბანი), 3. გ. ნოზაძე (ხაშური).

მძიმე. ბ. ბალაკაშვილი (ახმეტა), 2. მ. ზაზუნაშვილი (გარდაბანი), 3. ვ. კულჯანოვი (ხაშური).

ნაგეგის მიუხედავად

სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა ტაშკენტისა და ცხინვალის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა თავისუფალ ჭიდაობაში.

უზბეკი ათლეტები საქართველოში სავარჯიშოდ და გამოცდილების მისაღებად ჩამოვიდნენ. ჩვენი სტუმრები გულმოდგინედ ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის და რესპუბლიკის მოჭიდავეებთან რამდენიმე მატჩის გამართვას აპირებენ.

პირველი ასეთი „გამოცდა“ სტუმრებმა წარმატებით გაიარეს მიუხედავად იმისა, რომ ცხინვალის გუნდთან დამარცხდნენ — 5,5:7,5.

ვ. ფელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ახალ სახეობას — „ძნვანე ქუჩა“

ამ შემოდგომით ჩვენს ქვეყანაში სპორტის კიდევ ერთმა სახეობამ მოიპოვა ოფიციალური აღიარება — შეიქმნა სსრ კავშირის რეგბის ფედერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მფრინავი-გამომცდელი, საბჭოთა კავშირის გმირი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ილიუშინი.

ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტმა ახლახან შექმნილი ფედერაციის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარეს ვ. ილიუშინსა და იმავე ბიუროს წევრს ა. სოროკინს სთხოვა მოკლედ ეამბნათ ამ თამაშზე.

რეგბი საუკუნენახევარს ითვლის. მისი სამშობლოა ინგლისის ქალაქი რეგბი. სწორედ ამ ქალაქში ტარდებოდა იმ დროისთვის საკმაოდ გავრცელებული თამაში ბურთით, რომლის დროსაც ნებადართული იყო მოქმედება როგორც ფეხით, ისე ხელით. მოულოდნელად ერთმა მოთამაშემ (ისტორიამ მისი სახელიც კი შემოგვინახა — ვილიამ ვებ ელისი) ბურთს ორივე ხელი სტაცა, მკერდზე მიიკრა და მეტოქის კარისკენ გაიჭრა. ამ უპიზოდის ირგვლივ გამართული დავა, ბოლოსდაბოლოს, იმით დასრულდა, რომ 1823 წელს შეიქმნა ფეხბურთი-რეგბი (ბურთი ოვალური ფორმისაა, ხელით და ფეხით თამაში ნებადართულია) და ფეხბურთი-ასოციაცია, ანუ თანამედროვე ფეხბურთი.

1934 წელს ჩამოყალიბდა რეგბის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაცია (ფირა). სპორტის ამ სახეობამ ფართო აღიარება ჰპოვა არა მარტო მის სამშობლოში — ინგლისში, არამედ საფრანგეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ევროპის ფარგლებს გარეთაც — ავსტრალიაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში.

სსრ კავშირში რეგბისტთა პირველი მატჩი 1933 წელს გაიმართა. მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძლები და ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები. მალე დაიწყო ქვეყნის პირველობებისა და თასის გათამაშება, ჩემპიონატებს მართავდნენ დიდი ქალაქები. ომამდელი წლების რეგბისტთაგან აღიზარდნენ შემდგომ საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები ს. სპანდარიანი, ი. ხაიდინი, გ. პილნოვი, კ. ტრავინი, ვ. რაკიტინი და სხვ.

ომის შემდეგ დაიწყო რეგბის აღორძინება. რეგბისტთა გუნდები შეიქმნა მოსკოვში, კიევში, თბილისში, ბაქოში, რიაზანში, მაგრამ მოულოდნელად ამ თამაშის მისამართით ბრალდებაც წამოიჭრა: ამბობდნენ, რეგბი მხოლოდ უხეში ინსტინქტების განვითარებას უწყობს ხელს, იგი ასლია ამერიკული ფეხბურთისა, რომელსაც ყველაზე ცუდი რეპუტაცია აქვსო.

რეგბის წესია, — იმ მოთამაშეზე, რომელიც ბურთს არ ფლობს, იერიშს არავინ მიიტანს. თავის მხრივ, არც მას აქვს უბრალოდ შეტევის უფლება. ამერიკულ ფეხბურთში კი, როგორც ცნობილია, ყველაფერი პირიქითაა: ე. წ. მაბლოკირებელნი ყველა საშუალებით უხსნიან გზას თავიანთი გუნდის იმ წევრს, რომელიც ბურთს ფლობს. გასაგებია, რომ ამგვარი „წესებით“ თამაშისას ჩხუბი ჩვეულებრივი ამბავია. ამას რეგბისთან არაფერი აქვს საერთო.

გვინდა მოვიგონოთ განათლების პირველი საბჭოთა სახალხო კომისრის ა. ლუნაჩარსკის ცნობილი სიტყვები: „რეგბში, მაგალითად, მე მარტო ბრძოლით გატაცებას კი არა, წვრთნის გასაოცარ შედეგებსაც ვხედავ და არ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ ამ ახალგაზრდა რეგბისტებიდან ჩამოყალიბდებიან შესანიშნავი მებრძოლები, მებრძოლები როგორც ბრძოლის ველზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ისე ცხოვრებისეულ ყოველდღიურ ფრონტზე“.

შეიძლება მოვიშველიოთ ფრანგი ექიმის ა. ალამანდის აზრიც. მან თავისი სადოქტორო დისერტაციის თემად აირჩია რეგბის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „სისტემატურ, მუდმივად მზარდ წვრთნას მაქსიმალურ შედეგამდე მივყავართ“.

ახლა რეგბის წინააღმდეგი აღარავინ არის. უკვე 10 წელია, ეს შესანიშნავი თამაში თანდათან იკიდებს ფეხს და უამრავ მომხრეს იძენს. ჩვენს ქვეყანაში მისი აღორძინების საქმის პიონერები არიან მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტები. რეგბი გავრცელდა თბილისსა და ერევანში, ვილნიუსსა და რიგაში, კიევსა და ხარკოვში, ვორონეჟში, ლენინგრადში და სხვ. თავისი არსებობის პირველ წელს რეგბის საკავშირო ფედერაცია 10 მოკავშირე რესპუბლიკის 5 ათასზე მეტ ათლეტს ითვლის.

წლეულს პირველად გაიმართება სსრ კავშირის ჩემპიონატი. თავდაპირველად თამაშები ჩატარდა ბალტიისპირეთის, მოსკოვის, ამიერკავკასიისა და უკრაინის ზონებში. ფინალისტები გამოვლინდნენ, გადამწყვეტი შეხვედრები კი თბილისში 28 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე მოეწყობა. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის „დინამო“ და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი, თბილისის „ლოკომოტივი“ და „დინამო“, ლენინგრადისა და კიევის „სპარტაკი“.

რამდენიმე სიტყვა საბჭოთა რეგბისტების საერთაშორისო შეხვედრებზე. მათ დიდი გამოცდილება როდი აქვთ, მაგრამ სასიხარულოა, რომ ჩვენი სპორტსმენები წლიდან წლამდე მეტი წარმატებით გამოდიან დიდ სარბიელზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა წლევანდელი სეზონი: სსრ კავშირის გუნდებმა ამხანაგურ შეხვედრებში დაამარცხეს გამოცდილი კოლექტივები — ვარშავის „სკრა“ და „ორიოლი“, კენიგსდორფის (გდრ) „სპალი“ და პრაღის „სლავია“. საბჭოთა რეგბისტებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე, პოლონეთის რეგბის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში (ამ ასპარეზობაში პოლონეთისა და შვეიცის გუნდებიც მონაწილეობდნენ). მართალია, ჩვენები ჯერ არ შეხვედრიან მსოფლიო რეგბის ელიტას — ინგლისის, საფრანგეთის, რუმინეთის, ახალი ზელანდიის, ავსტრალიის უძლიერეს გუნდებს, მაგრამ, ფფიქრობთ, ადარც ეს მატჩები შორს.

სსრ კავშირში რეგბის საერთაშორისო წესებით თამაშობენ. ჩვენი ათლეტების ოსტატობა და გამოცდილება კი სწრაფად იზრდება.



ᲗᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲘᲗ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

მიუხედავად იმისა, რომ სატრეკო ველორბოლა ჩვენს რესპუბლიკაში არასდროს იყო სპორტის მასობრივი სახეობა, სპრინტსა და სალიდერო რბოლაში მუდამ გვყავდა მაღალი კლასის ოსტატები. ეს ტრადიციულად მოდის და, როგორც ჩანს, პარინტაცია და სალიდერო რბოლაც ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნებს შეესატყვისება.

ტრადიცია დღესაც ძალაში რჩება, თუმცა ჩვენი საუკეთესო სპრინტერი და სტაიერი უდაბნოსა შინა მღაღადებლებს უფრო გვანან, რომელთაც არ ჰყავთ ფართო მრევლი და საიმედო მხარდამჭერნი. ო. ფხაკაძეცა და ო. პროკოპენკოც ეულად ლიდერობენ ჩვენს ველოსპორტს.

ო. პროკოპენკომ თავის მუდმივ პარტნიორთან ი. კავსაძესთან ერთად წლეულს 4 საკავშირო რეკორდი გაუმჯობესა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. მიმდინარე სეზონში ამ წყვილმა თითქმის ყველა დიდ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ არც რესპუბლიკური ჩემპიონატი იუკადრისა. პროკოპენკომ საქართველოს ჩემპიონის წოდება, ამჯერად, რ. ჩილინგარიანთან წყვილში მოიპოვა (კავსაძემ საპატიო მიზეზით ვერ შეძლო ტურნირში გამოსვლა), მაგრამ ჩვენ ახლა ამაზე არ გვსურს ლაპარაკი: საქართველოს პირველობაში პროკოპენკო გამარჯვებას მაშინაც კი მოიპოვებდა, მოტოციკლზე ახალბედაც რომ დაგესვათ. საქმე ის არის, რომ მეტოქეებმა სალიდერო რბოლის ამ აღიარებულ ოსტატს ღირსეული ფონიც კი ვერ შეუქმნეს. თუმცა ეს, ალბ, რა გასაკვირია: 3 საპრიზო ადგილზე პრეტენზიას მხოლოდდამხოლოდ 4 ველოსიპედისტი აცხადებდა.

თქმა არ უნდა, ჩვენი მოწინავე სპორტსაზოგადოებები („დინამოს“ გარდა, რომლის სახელსაც იცავს პროკოპენკო) სალიდერო რბოლას ყურადღებას არ აქცევენ და ამიტომაა, რომ რესპუბლიკა სტაიერთა საგრძნობ ნაკლებობას განიცდის. საშუალება კი თითქმის ყველა სპორტსაზოგადოებას აქვს.

სალიდერო რბოლაში მსოფლიო პირველობა უკვე კარგა ხანია ცალკე იმართება. ერთგვარი ავტონომია მან საკავშირო სარბიელზეც მიიღო. და მხოლოდ ჩვენ დავრჩით კონსერვატორებად, ვინაიდან მას წლიდან წლამდე საქართველოს პირველობის ერთიან პროგრამაში ვრთავთ.

შეიძლება შემოგვედაონ: სტაიერთა 4 წყვილით რომელ ცალკე შეჯიბრებაზე ლაპარაკობთო?! მართლაც, 4 ველოსიპედისტისთვის ჩემპიონატის ცალკე გამართვა უაზრობაა. მაგრამ ვინ თქვა, რომ ასეთ რეგიონალურ შეჯიბრებაში ოთხ მონაწილეზე მეტი არ შეიკრიბება? აი, სწორედ მაშინ სპორტსაზოგადოებებიც შეიწუხებენ თავს და შეჯიბრებაც შეჯიბრებას დაემსგავსება. სტაიერები მაშინ მარტო „დინამოს“ კი არ ეყოლება, არამედ „ბურევესტნიკსაც“, „შრომით-რეზერვებსაც“, „სპარტაკსაც“, „ლოკომოტივსაც“...

ნ. გუგუშვილი.

• • •

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. „დინამო“, 2. „ბურევესტნიკი“, 3. „შრომითი რეზერვები“.

ᲞᲘᲠᲐᲚᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

4 კმ გამოდევნებით რბოლა (ვაუები). 1. ე. მელკოვი — 5.15,8, 2. ვ. ფეტისოვი (ორივენი — „დინამო“), 3. ვ. პოპოვი („ბურევესტნიკი“).

3 კმ გამოდევნებით რბოლა (ქალები). 1. ლ. სტაშევსკაია („დინამო“)—4.27,0, 2. ს. პავლოვა („სპარტაკი“), 3. ს. ჩუგუნოვა („ბურევესტნიკი“).

ჯგუფური რბოლა 110 წრეზე (22 ფინიშით). 1. ო. ნიშნიანიძე (ბათუმი), 2. ვ. მალეევანიკი („დინამო“), 3. კ. ჯაგაევი („შრომითი რეზერვები“).

4 კმ გუნდური რბოლა (ვაუები). 1. „დინამო“ (ვ. ფეტისოვი, ე. მელკოვი, ვ. მალეევანიკი, გ. ასანიძე) — 4.57,0, 2. „ბურევესტნიკი“ — 5.08,8, 3. „შრომითი რეზერვები“— 5.09,5.

200 მ გიტი სვლით (ქალები). 1. ს. პავლოვა — 14,5, 2. ლ. კუნდიროვა („დინამო“) — 14,6, 3. ლ. სტაშევსკაია — 14,7.

1 კმ გიტი ადგილიდან (ვაუები). 1. შ. კაცაძე („შრომითი რეზერვები“) — 1.11,9, 2. ე. მელკოვი — 1.12,5, 3. ვ. პოპოვი — 1.13,4.

სალიდერო რბოლა. 1. ო. პროკოპენკო (ლიდერი რ. ჩილინგარიანი. „დინამო“) — 15.28,5, 2. ო. აჯიაშვილი (ს. გოცირიძე. „ბურევესტნიკი“) — 15.45,4, 3. ფ. ჩქარეული (რ. ჩილინგარიანი. „დინამო“) — 15.48,5.

• • •

ვაუთა ჯგუფურ რბოლაში თავიდან დაწინაურდა მალეევანიკი, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა თანდათან გამოასწორა ნიშნიანიძემ და საბოლოოდ გამარჯვებაც დაისაკუთრა.

სურათზეც სწორედ ჯგუფური რბოლის ერთი მომენტია აღბეჭდილი. წინაა მალეევანიკი. მას კვალდაკვალ მისდევს ნიშნიანიძე.

ფოტო ო. გელაშვილისა.



ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲡᲔᲕᲐᲜᲘᲡ ᲢᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

გასულ შაბათ-კვირას თბილისში ჩატარდა ქალაქის პირადგუნდური ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში. მის შედეგებზე ჩვენ დაწვრილებით ავნებ არც შეჩერებულიყავით, დღეს რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

ამბობენ, საგზატკეცილო ველორბოლა რესპუბლიკაში მკვდარი წერტილიდან დაიძრაო. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ სევანის ტბის მიდამოებში გამართულმა საკავშირო შეჯიბრებამ, რომელშიც საქართველოს 2 გუნდი გამოვიდა, იმედის ნაპერწკალი ჩაგვისახა. და აი, თბილისის პირად-გუნდურ ჩემპიონატს პასუხი უნდა გეეცა, თუ რამდენად რეალურია ჩვენი ოპტიმიზმი.

პირდაპირ ვიტყვით: ველოსიპედისტი ვაუები სევანის ტბის „დონეზე დარჩნენ“. მაგალითად, რესპუბლიკის ნაკრების წევრებმა დაყოფილი სტარტით რბოლაში, ფაქტიურად, გაიმეორეს საკავშირო შეჯიბრების შედეგები. სტაბილურობა კი, მოგეხსენებათ, წინსვლის პირველი ნიშანია. დინამოელმა ვ. კეხბამ, განთიადელმა ს. გრიშკევიჩმა და სპარტაკელმა შ. დაიაურმა (სწორედ ეს სამეული გავიდა საპრიზო ადგილებზე) 25-კილომეტრიან დისტანციაზე, პირქარის მიუხედავად, საკმაოდ კარგი შედეგები მოიპოვეს (36.20,0-დან 36.27,0-მდე), ხოლო რუსთაველმა ი. კრასავცევმა (იგი უკონკურსოდ ასპარეზობდა) საუკეთესო დრო — 36 წუთი — აჩვენა.

ნაკრების წევრთა მომზადების ხარისხი და საბრძოლო განწყობა განსაკუთრებით ეგრძნობოდა საერთო სტარტით 75 კილომეტრზე რბოლაში. ისინი პირველიდან ბოლო კილომეტრამდე კარნახობდნენ ტემპს და ტაქტიკური მანევრების დაუღალავი თაოსნები იყვნენ.

სტარტიდან 5 კილომეტრის შემდეგ დაწინაურდა ცხრაკაციანი ჯგუფი, ანუ რესპუბლიკის ნაკრები. ფეხმის მისადგომებთან ლიდერებში „განხეთქილება“ მოხდა, მაგრამ საბოლოოდ ნაკრების წევრებმა საპრიზო ადგილები მაინც ერთმანეთში გაითამაშეს. საუკეთესო შედეგი ს. გრიშკევიჩს აღმოაჩნდა — 1:50.20.

ქალთა ველოსპორტში წინსვლა უფრო ნაკლებად შესამჩნევია. მართალია, შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ჩვენი ერთ-ერთი მოწინავე სპორტსმენი, სსრ კავშირის საუკეთესო ათეულის წევრი, განთიადელი ვ. პოდოლსკაია, მაგრამ ერთი მერცხალი გაზაფხულს მაინც ვერ მოიყვანს. 15 კილომეტრზე დაყოფილი სტარტით რბოლაში გამარჯვებული ა. დოლგოპოლოვაც შედეგი, გულახდილად რომ ვთქვათ, პირდაპირ უსუსურია (25 წუთი).

ჩვენი ველოსიპედისტების წინაშე დგას კონკრეტული ამოცანა, რომელიც ოპერატიულად გადაჭრას მოითხოვს: ეს ამოცანაა ქალთა ველოსპორტის მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესება. ნუ გვავიწყდება, რომ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადამდე არც ისე ბევრი დრო დარჩა.

ი. ძიძიგური.

სტაიერთა მომზადებას — ეეხი ყურადღება!

სტაბილური შედეგები წინსვლის ნიშანია

ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს

კვარცხლბეკზე — ჭეშმარიტად უძლიერესი



მე არა თუ მოწმე ვარ ალექსანდრე მეტრეველის პირველი ნაბიჯებისა ჩოგბურთის კორტზე, არა თუ წლების მანძილზე მიდევნებია თვალი მისი გამოსვლებისთვის ჩვენი ქვეყნის უდიდეს ასპარეზობებში, თავადაც არაერთხელ შევხვედრივარ მას უშუალოდ კორტზე.

მახსოვს, როგორ ვნახე პირველად. ამ 10 წლის წინათ საქართველოში, არც თუ ისე წარმომადგენლობით ტურნირში ჩატარდა ერთი არაჩვეულებრივი მატჩი, რომელმაც მაყურებელთა დიდი ყურადღება მიიპყრო. ქართველები ერთნაირი ტემპერამენტით გულშემატკივრობენ როგორც ფეხბურთელებს, ისე ჩოგბურთელებს. ამჯერად ისინი ქომაგობდნენ გამხდარ შავტუხა ბიჭს, რომელიც ბეჯითი და ზუსტი თამაშით ჯობდა გამოცდილ და მასზე, ასე 15 წლით უფროს სპორტსმენს. ეს ბიჭი ყველას მოსწონდა, მაგრამ მაყურებელთაგან, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დადგება დრო და იგი სწორედ ასევე დააყრევინებს ფარ-ხმალს მსოფლიო ჩემპიონს, გახდება სსრ კავშირის პირველი ჩოგბურთელი.

ახლა კი საკმარისია ალექსანდრე მეტრეველი ერთ შეხვედრაში იხილოთ, რომ მაშინვე ცხადი გახდება: ეს 23 წლის ქართველი ჩოგბურთელადაა დაბადებული. მაღალი, კუნთებდაჭიმული, მხარბეჭიანი ჭაბუკი ისე მსუბუქად მოძრაობს მოედანზე, თითქოს ლეკურს ცეკვავსო. იგი ერთნაირად დამაჯერებლად მოქმედებს როგორც უკანა ხაზზე, ისე ბადესთან. ყუმბარისებური მოწოდება, ფრენიდან ბურთის ხანჯალივით დარტყმა და ბურთის მზაკვრულად მოკლე „მოჭრა", — ყოველივე ეს მეტრეველის უსაყვარლესი იარაღია თამაშის დროს. იგი იშვიათად იყენებს ერთსა და იმავე დარტყმას.

ალექსანდრე მეტრეველი სპორტულ ოჯახში გაიზარდა. მამამისი თბილისის ზამთრის საცურაო აუზის დირექტორია, ახალგაზრდობაში კი ცუდი ფეხბურთელი როდი იყო. უფროსი ძმა, პეტრე, პროფესიით ფიზიკოსი, — საქართველოს ერთ-ერთი კარგი ჩოგბურთელია. სწორედ მან მიიყვანა ალექსანდრე „დინამოს" სპორტსკოლაში ცნობილ მწვრთნელ ა. ხანჯალიანთან. თუმცა, როგორც ყოველი თბილისელი ბიჭუნა, ალექსანდრეც ფეხბურთზე ოცნებობდა გამოცდილმა პედაგოგმა ჭაბუკს ჩოგბურთისადმი დიდი სიყვარული შთაუნერგა (უნდა შევნიშნოთ, რომ ჩოგბურთელი მეტრეველი მუდამ მზადაა ჩოგანი დააგდოს და ფეხბურთის მინდორზე გიჩვენოთ რამდენიმე ილეთი მისი მოგვარის სლავა მეტრეველის არსენალიდან).

1957 წელს მეტრეველმა მოიგო თბილისის ჩოგბურთელი ბიჭების პირველობა — და ამით თავის გამარჯვებათა ანგარიში გახსნა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მახსოვს ქართველი ჩოგბურთელის სენსაციური გამარჯვება კალინინგრადში, სსრ კავშირის პირველობაზე, როცა მან, 17 წლის ჭაბუკმა, I წრეში დაამარცხა იმ წლების ჩემპიონი მ. მოზერი. უკვე მომდევნო წელს კი ა. მეტრეველის თამაში იხილეს ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთის მოყვარულებმა.

სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებმა რომ ამ სამი წლის წინათ, გალეას თასის გათამაშებაში — ევროპის ამ არაოფიციალურ პირველობაში გამარჯვება შეძლო, ამას სწორედ გადამწყვეტ მატჩებში მეტრეველის ბრწყინვალე თამაშს უნდა ვუმადლოდეთ.

წლევანდელ სეზონში ქართველი ჩოგბურთელი განსაკუთრებით კარგად თამაშობდა. ზამთარში მან ორჯერ დააყრევინა ფარ-ხმალი სსრ კავშირის ჩემპიონ თ. ლეიუსს: დახურულ კორტებზე საკავშირო პირველობისა და მოსკოვის ზამთრის საერთაშორისო ტურნირის ფინალურ შეხვედრებში. უძლიერესი უცხოელი სპორტსმენები შიშმა შეიპყრო: სსრ კავშირის მეორე ჩოგბურთელი არ ხუმრობდა. ზაფხულში მეტრეველმა რამდენიმეჯერ დაამარცხა მსოფლიოს პირველი ათეულის მოთამაშეები: აშშ-ის ჩემპიონი რალსტონი, ავსტრალიის მეხუთე ჩოგბურთელი მალიგანი, ინგლისის ჩემპიონი ტეილორი და სხვები. მაგრამ თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტის ყველაზე დიდ წარმატებად მაინც უდიდეს საერთაშორისო ტურნირში — სკანდინავიის ქვეყნების ღია ჩემპიონატში გამარჯვება უნდა მივიჩნიოთ. მეტრეველმა მეოთხედფინალში დაამარცხა იტალიის ჩემპიონი ნ. პიეტრანჯელი, ფინალში კი — მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონი, უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული, ესპანელი მ. სანტანა. ასეთი წარმატება საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიას არ ახსოვს.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მეტრეველმა მითხრა, რომ იტალიაში, საფრანგეთსა და ინგლისში წარმატებით გამოსვლამ საკუთარი შესაძლებლობის რწმენა შემატა, სურს კიდევ უფრო დახვეწოს თამაში, უფრო ხშირად მიიღოს მონაწილეობა ასპარეზობებში.

— მე დავრწმუნდი, — თქვა ქართველმა ჩოგბურთელმა, — რომ მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებთან მოგება შეიძლება. მწამს ისიც, რომ მარტო მე კი არა, სხვა საბჭოთა სპორტსმენებსაც შესწევთ საერთაშორისო სარბიელზე გამარჯვების ძალა.

მალე მეტრეველმა მეორედ მოიპოვა პირველობა მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში. იგი, რასაკვირველია, ოცნებობდა სსრ კავშირის პირველი ჩოგბურთელის ოქროს მედალზე და აკი აუხდა კიდეც ოცნება! ჩემპიონი შეიცვალა: თ. ლეიუსმა დათმო სამეფო ტახტი. ეს არავის გაკვირვებია. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ახლა ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად უძლიერესი ჩოგბურთელი დგას.

ა. ნოვიკოვი,
სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: ა. მეტრეველი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

შემთხვევა საჰაეროში

დაუგავპილსელი (ლატვია) პლანერისტი იური ბოგდანოვი გულმოდგინედ ემზადებოდა სპორტის ოსტატის ნორმის შესასრულებლად. იგი ბევრს ვარჯიშობდა და გულდასმით სწავლობდა საჰაერო ნაკადების თეორიას. და აი, დადგა ნანატრი დღეც: ბოგდანოვი დაუგავპილსიდან კალინინგრადს უნდა გადაფრენილიყო.

ნახევარი გზა შეუფერხებლად, დასახული მარშრუტით იფრინა. მაგრამ კაუნასის (ლიტვა) რაიონში პლანერი მოულოდნელად ქარიშხლის ზოლში მოჰყვა და უმოტორო მანქანამ, მიუხედავად ახალგაზრდა მფრინავის უდიდესი ცდისა, მიმართულება იცვალა.

პლანერმა 6 საათი გაატარა ჰაერში და მშვიდობიანად დაეშვა... პოლონეთში, პოლონეთ — სსრ კავშირის საზღვართან.

პოლონელი მესაზღვრეები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა სპორტსმენს. ასეთ დროს აუცილებელი საბუთები სწრაფად გაუფორმეს და გულწრფელად გაიზიარეს მისი გულისტკივილიც... მამაც პლანერისტს მხოლოდ 38 კმ არ ეყო სპორტის ოსტატის ნორმის შესასრულებლად.

ი. ბოგდანოვი შინ დაბრუნდა. 19 წლის სპორტსმენი, ავტობაზის ზეინკალი, უკვე რამდენიმე წელია პლანერით არის გატაცებული და საკმაო ნიჭიერებასაც იჩენს. მხოლოდ ესაა გულდასაწყვეტი, რომ საოცნებო გაფრენა, ალბათ, მომავალ ზაფხულამდე გადაიდო. (აას-ი).

ყოველი მხრიდან

სპორტული ცნობები

✦ ტალანტი და... ავტობუსი

80 მეტრზე თარჯრბენში შვეციის ჩემპიონობა მოიპოვა ქალაქ არლიოვის მკვიდრმა, 16 წლის მონიკა ზელბერგმა. ტალანტი, მართლაც, რომ უჩვეულოდ „აღმოაჩინეს": მძლეოსანთა მწვრთნელი ვარშალოვსკი მანქანით მიდიოდა და უეცრად თვალი მოჰკრა გოგონას, რომელიც ავტობუსს მისდევდა, დაეწია კიდეც და შეახტა. „მე მხოლოდ მისი ზამბარისებური ნაბიჯები დავინახე, მაგრამ ეს სავსებით საკმარისი იყო", — ამბობს მწვრთნელი.

ვარშალოვსკიმ დაითანხმა მონიკას მშობლები და გოგონას სპორტში მეცადინეობის ნება დართეს. მონიკამ ელვის სისწრაფით მიაღწია წარმატებას — გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

✦ დახმარება ტყიდან

საფრანგეთის ქალაქ შამრიონში ჩატარდა კროსი დასერილ მიდამოებში. გაიმარჯვა ასპარეზობის მონაწილეთაგან ყველაზე სუსტმა ჟან ლებლიომ, თანაც, ზღაპრულად მაღალი შედეგით. კროსის თაოსნებმა ლებლიოს ბრალი დასდეს, — მარშრუტის ერთი ნაწილი რომელიღაც სხვა, უფრო მოკლე გზით გაირბინაო. მაშინ აღშფოთებულმა ჩემპიონმა გასცა თავისი „საიდუმლო". თურმე ფინიშს რომ ერთი წრეღა აკლდა, ტყიდან უეცრად გამოვარდა გარეული ღორი და სპორტსმენს გაეკიდა. თავზარდაცემულმა ლებლიომ ისე მოკურცხლა, რომ ლიდერთა ჯგუფსაც კი გაუსწრო... ღორი ამასობაში ტყეში მიიმალა.

✦ ჯერჯერობით ქათმებს აშენებს...

შარშანდელი სეზონის მიწურულში ფეხბურთის ესპანელი მოყვარულები და თავად ალფრედო დი სტეფანოც დარწმუნებული იყვნენ, რომ „ბარსელონა" დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა ხელშეკრულებას სახელგანთქმულ ფეხბურთელთან. ეს „ბარსელონასაც" სურდა, მაგრამ არა იმ ფულად, რასაც შარშან უხდიდა ალფრედოს.

დი სტეფანო მადრიდს, თავის ვილაში გაემგზავრა და გუნდებისგან მიწვევას უცდიდა, თუმცა ისინი რატომღაც არ ჩქარობდნენ.

რა თქმა უნდა, ბევრ გუნდს მიაჩნდა, რომ მას შეუძლია სარგებლობის მოტანა... როგორც მწვრთნელს, ან ტექნიკურ დირექტორს. ეს შესთავაზეს კიდეც, მაგრამ დი სტეფანო დიდხანს უარობდა — თამაში სურდა.

ახლა კი მან ბიზნესს მოჰკიდა ხელი, — მეფრინველეობის ფერმას განაგებს. ცნობილი ფეხბურთელი ოცნებობს კვლავ გამოვიდეს მინდორზე, მაგრამ ჯერჯერობით სასიკეთო არაფერი ჩანს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია სამბოს საკავშირო ფედერაციასთან ერთად 28 ოქტომბერს აწყობს **სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატისადმი მიძღვნილ პრეს-კონფერენციას.**

პრეს-კონფერენცია გაიმართება საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში (ლენინის ქ. № 14). დასაწყისი 13 საათზე.

თბილისის სპორტულ ცხოვრებაში

რაგბი. სსრ კავშირის პირველობა. 28 ოქტომბერი-5 ნოემბერი. ხვალ: „ლოკომოტივის" სტადიონი. 10 ს. „დინამო" (მოსკოვი) — მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი. 12 ს. „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (კიევი). „დინამოს" სტადიონი. 17 ს. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).

სამბო. სპორტის სასახლე. **29-31 ოქტომბერი.** სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური ტურნირი. დასაწყისი 29 და 30 ოქტომბერს 11 ს. და 18 ს., 31 ოქტომბერს — 17 ს. **2 ნოემბერი.** საერთაშორისო შეხვედრა. საქართველო (ნაკრები) — იაპონია (ნაკრები). დასაწყისი 19 ს.

ხელმოწერა შეუზღუდავია და მიიღება „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილებაში.

ხელმოწერის ფასი: 1 თვით — 65 კაპ., 3 თვით — 1 მან. 95 კაპ., 6 თვით — 3 მან. 90 კაპ., 12 თვით — 7 მან. 80 კაპ.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.